სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ყურძნის შეძენის იაფი აგროკრედიტი 2017 წელს შენარჩუნდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ ყურძნის შესყიდვაზე იაფი აგროკრედიტი შენარჩუნდება 2017 წელს. კახეთის რეგიონში ღვინის დასამზადებლად ყურძნის შესყიდვის იაფი აგროკრედიტი 15 თვეზეა გათვალისწინებული, ხოლო 36 თვის ხანგრძლივობის აგროკრედიტი - რქაწითელისა და კახური მწვანის შესაძენად სპირტის წარმოებისთვის. პირველ შემთხვევაში კრედიტის მოცულობა 20 000 ლარიდან 10 მილიონამდე იქნება, მეორე შემთხვევაში - 20 000 ლარიდან 15 მილიონ ლარამდე. სამინისტროს განცხადებით, 2013 წელს დაწყებული შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 24 საწარმო, ხოლო 48 - გაფართოვდა. აგრო-დაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2017 წელს 5 123 ჰექტარი ვენახი იყო დაზღვეული. საერთო ჯამში 6 796 პოლისი გაიცა, სადაზღვევო ლიმიტი 42,42 მილიონი ლარით განისაზღვრა, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან გადახდილ იქნა 1,8 მილიონი ლარი.

Sarke Information News, 27 ივლისი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის მინისტრი: აღარ არის საჭირო ღვინის წარმოებისთვის ძირითადი სამრეწველო ჯიშების სუბსიდირება

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ „წელს აღარ მოხდება სამრეწველო ჯიშების, როგორიცაა საფერავი, ასევე რქაწითელი და კახური მწვანე, სახელმწიფო სუბსიდირება ღვინის წარმოებისთვის“. მინისტრმა განაცხადა დღევანდელი მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებთან და აღნიშნა: ჩვენ მოვახდენთ რქაწითელის და კახური მწვანის კომპენსირებას, თუ კომპანიები დაკავებული იქნებიან კონიაკის ან კონცენტრირებული ყურძნის წვენის წარმოებით. მთავრობის გადაწყვეტილებით, ის კომპანიები, რომლებიც რქაწითელსა და კახურ მწვანეს შეიძენენ აღნიშნული მიზნებისთვის 1 კგ-ზე არანაკლებ 70 თეთრის ღირებულებით, მიიღებენ არანაკლებ 35 თეთრს ყოველ შეძენილ კილოგრამზე. „ამგვარად, ჩვენ ხელს შევუწყობთ კონიაკის წარმოებას ღვინის წარმოების სექტორთან ერთად“, - აღნიშნა მინისტრმა. ამავე დროს, დავითაშვილის განცხადებით, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ალექსანდროულის და მუჯურეთულის ჯიშებისთვის, რომლებიც ხვანჭკარის წარმოებისთვის გამოიყენება, შენარჩუნდება სუბსიდია რთველი-2017 დროს 1 კგ-ზე 2 ლარის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლიდან ამ ჯიშების გამოტანა წარმოებისთვის რაჭა-ლეჩხუმიდან (სადაც ისინი იზრდება) აიკრძალება.

Sarke Information News, 27 ივლისი, 2017 წელი

კიდევ 5 მუნიციპალიტეტი უნდა შეუერთდეს საძოვრების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამას

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ალპური საძოვრების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამას კიდევ 5 მუნიციპალიტეტი შეუერთდება. კერძოდ, საქმე ეხება კასპის, ხაშურის, მცხეთის, საგარეჯოს და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებს. შედეგად, აღნიშნული პროგრამის სამიზნე მუნიციპალიტეტების რაოდენობა 29-მდე გაიზრდება, განაცხადეს სამინისტროში. პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის კოოპერატივები მინიმუმ 5 წევრით, რომლებიც 200 ძროხას მაინც ფლობენ, საძოვრებს და სათანადო ტექნიკას იჯარით მიიღებენ. პროგრამა ითვალისწინებს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ უკანაფშავში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი) რძის საწარმოს მშენებლობას, განაცხადეს სამინისტროში.

Sarke Information News, 24 ივლისი, 2017 წელი

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, სს „არგო“ ლიმონათის წარმოებას დაიწყებს
ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადებით შპს „არგო“, რომელიც მდებარეობს ლილოს დასახლებაში, დაემატა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციართა სიას. პროგრამის დახმარებით კომპანია გეგმავს ლიმონათის წარმოების ხაზის დამატებას და უალკოჰოლო სასმელების ასორტიმენტის გაფართოებას, განაცხადეს სამინისტროში. პირველ ეტაპზე საწარმოში დასაქმდება 38 ადამიანი, ხოლო წლიური გამომუშავება 10 მლნ ლიტრს მიაღწევს. მთლიანი ინვესტიციები პროექტში, განხორციელებული სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დახმარებით, 1,57 მილიონ ლარს შეადგენს, აღნიშნეს სამინისტროში. სს „არგო“ იყენებს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსურ კომპონენტს (კომპანიის კრედიტის საპროცენტო განაკვეთის 2 წლიანი სახელმწიფო თანადაფინანსება).
Sarke Information News, 21 ივლისი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის მინისტრი: სერიოზული გამოწვევები გამოჩნდა ამ წელს თხილის სექტორში
„წელს სერიოზული გამოწვევებია თხილის სექტორში, რომელთა წინაშეც დადგა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, მათ შორის საქართველო“, - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა. „დასრულდა ხეების შეწამვლის პირველი ეტაპი გავრცელებული მავნებელის ფაროსანასგან დასაცავად“, - განაცხადა მინისტრმა დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. დასავლეთ საქართველოში და აჭარაში დაახლოებით 50 000 ჰა თხილის პლანტაციები შეიწამლა, განაცხადა მან. ქართული თხილის შემადგენლობაში აფლატოქსინის საფრთხის შემცველი ოდენობის შესახებ ინფორმაციის კომენტირებისას დავითაშვილმა ამ მოვლენას „სრულიად გადაჭარბებული კამპანია“ უწოდა. მინისტრის თქმით, საქართველომ მიიღო შეტყობინება აფლატოქსინის შემცველობაზე ევროკომისიის Rapid Alert System for Food and Feed (RASFF)-სგან 9-ჯერ - 2016 წელს და 2-ჯერ - 2017 წელს. ამავე დროს, თურქეთმა (მსოფლიოში უმსხვილესი თხილის მწარმოებელი) მიიღო 37 შეტყობინება 2016 და 11 – 2017 წლებში, განაცხადა მან.
Sarke Information News, 19 ივლისი, 2017 წელი

ხორბლის მოსავალი სავარაუდოდ 260 500 ტ იქნება
ხორბლის მოსავალი სავარაუდოდ 260 500 ტ იქნება, ე.ი. 3,1 ტ ჰა-ზე, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გამართულ პრეს-კონფერენციაზე ხორბლის მოსავლის შესახებ საუბრისას. ქერის მოსავალი სავარაუდოდ 110 000 ტ უნდა იყოს, ე.ი. ჰექტარზე 2,5 ტ. ამ ეტაპზე 114 559 ტონა ხორბლის და 20 ათასი ტონა ქერის აღება იგეგმება, განაცხადა მინისტრმა.
Sarke Information News, 19 ივლისი, 2017 წელი

„მიგროს ჯგუფი“ გეგმავს პროექტების განხორციელებას საქართველოში თხილის სექტორში
სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით თხილის სექტორში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს შვეიცარიის „მიგროს ჯგუფის“ (საცალო ვაჭრობა) წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. შეხვედრაზე შვეიცარიის მხარემ აღნიშნა, რომ საქართველოში თხილის სექტორში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იგეგმება. სამინისტროს განცხადებით, შვეიცარიის მხარე თვლის, რომ უკვე არსებული თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსთან მის ინტერესებშია „იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია თხილის ხარისხთან და კონტროლის სტანდარტებთან“. სამინისტროში აღნიშნეს, რომ საქართველოში დარგის განვითარებისთვის თხილის ტექნიკური სტანდარტები შეიქმნა, ქვეყანაში საერთაშორისო რეგულაციები და მონიტორინგის სისტემა დაინერგა.
Sarke Information News, 19 ივლისი, 2017 წელი

ვარციხისა და ტობანიერის სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია მომავალ გაზაფხულზე უნდა დასრულდეს

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა ვარციხის და ტობანიერის (იმერეთის რეგიონი) სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტის შესახებ, რომელსაც შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს. სამინისტროს ცნობით, პროექტის ღირებულება 2,2 მლნ ლარი იქნება და 2018 წლის გაზაფხულზე დასრულდება. პროექტის ფარგლებში ძირითადი არხების რეაბილიტაცია (საერთო სიგრძით 15 კმ) მოხდება, ხოლო საკოლექტორო არხი 6,5 კმ აღდგება, აღნიშნეს სამინისტროში. შედეგად, წყალს მიიღებს 5 სოფლის 820 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. სამინისტროს განცხადებით, მელიორაციული სისტემების რეაბილიტაციის 17 პროექტი განხორციელდა იმერეთის რეგიონში 2012 წლიდან, რის შედეგადაც სარწყავი ფართობი გაფართოვდა 13 765 ჰა-მდე, ხოლო დრენაჟით ამომშრალმა ტერიტორიამ შეადგინა 4 450 ჰა-მდე.

Sarke Information News, 19 ივლისი, 2017 წელი

EUGEORGIA.INFO: „გეოგრაფიული აღნიშვნების მქონე პროდუქტებს ყოველწლიურად 50 მილიარდი ევროს შემოსავალი მოაქვთ ეკონომიკისთვის“.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და EBRD-ის ერთობლივი პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს რძის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაძლიერებას და ღირებულების დარიცხვის მტკიცე ჯაჭვის განვითარებას. პროექტის კოორდინატორი კატერინა პობერეჟნა აღნიშნავს, რომ საქართველოში 40-ზე მეტი პროდუქტის გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრირება გაკეთდა. ესენია ჭაჭა, ჩურჩხელა, მესხური ჩეჩილი, მეგრული სულგუნი, მაჭახელას თაფლი, ახალქალაქის კარტოფილი და ა.შ., „თუმცა, ამ პროდუქტებზე არ გამოიყენება გეოგრაფიული აღნიშვნები, როგორც მარკეტინგის საშუალება ჯერ-ჯერობით და მათ არ მოაქვთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი“, განსაზღვრა მან. პობერეჟნას მონაცემებით, „უხეში გათვლებით, გეოგრაფიული აღნიშვნების მქონე პროდუქციას ეკონომიკისთვის მოაქვს გლობალური მასშტაბით წლიური შემოსავალი 50 მილიარდ ევრომდე“. „ამ ნიშის გაძლიერებას და განვითარებას ითვალისწინებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაც“, - აღნიშნავს ის. „ჯერ-ჯერობით არსებობს ძალიან სავარაუდო აღწერა, როგორი უნდა იყოს, მაგალითად, სულგუნი, მეგრული სულგუნი, თუშური გუდა და ა.შ.“, - ამბობს პობერეჟნა და დასძენს: „რეკომენდაცია, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ, ეხება კანონმდებლობას, რადგან კანონი არსებობს, მაგრამ გარკვეული საკითხები გაურკვეველია და მოითხოვს სპეციფიკაციას: მაგალითად, სერტიფიცირების საკითხი“. ჩვენ ასევე გვაქვს მეორე პროექტი, რომელიც შეეხება რძის სექტორს - „რძის პროდუქციის სექტორში უვნებლობის გაუმჯობესება ცოდნის გადაცემის გზით“, აღნიშნა პობერეჟნამ. სურსათის უვნებლობის ექსპერტი საქართველოში აგვისტოს თვეში ჩამოვა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებთან ერთად ადგილზე შევხვდებით მწარმოებლებს და განვიხილავთ ტრადიციული ქართული ყველის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს, განაცხადა მან. სტატია მომზადდა USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ACCESS-ის ფარგლებში აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ.

Sarke Information News, 18 ივლისი, 2017 წელი

ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში თევზის საწარმო გაიხსნება ქარელში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით ცოტა ხნის წინ ქარელის რაიონში შპს „ახალი თევზი“ დაფუძნდა, სადაც 30 ადამიანი დასაქმდება. კომპანია, რომელიც ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში შეიქმნა, ყოველწლიურად 150 ტონა თევზის და ხიზილალის წარმოებას გეგმავს. საწარმოს ინვესტიციები 1,5 მილიონ დოლარს შეადგენს, მათ შორის 249 081 დოლარის გრანტი და 311 352 აშშ დოლარის შეღავათიანი აგროკრედიტი. სამინისტროში აღნიშნეს, რომ „ახალი თევზი“ ნოემბერში ISO:22000 სერტიფიკატის მიღებას გეგმავს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და USAID/REAP პროექტის მხარდაჭერით.

სამინისტროს განცხადებით, 750-ზე მეტი მოქმედი და 162 ახალი საწარმო უკვე იყო მხარდაჭერილი აგროპროექტის ფარგლებში.
Sarke Information News, 17 ივლისი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

მთავრობამ 18 მილიარდი დრამი გამოყო გადამუშავებული კომპანიებისთვის სესხების სახით
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანის განცხადებით აგვისტოს თვეში ხელისუფლება 18 მილიარდი დრამის პროგრამის დამტკიცებას გეგმავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესაძენად ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი კომპანიების მხარდასაჭერად. პრეს-კონფერენციაზე საუბრისას მან განაცხადა, რომ ბევრ ადგილობრივ გადამამუშავებელ კომპანიას სირთულეები ექმნება ფერმერებისთვის პროდუქციის ღირებულების გადახდისას. მისი თქმით, ფულადი სახსრები გადაეცემა გადამამუშავებელ კომპანიებს მოკლევადიანი სესხის სახით 12 თვიანი დაფარვის ვადით 3% საპროცენტო განაკვეთით. „ფაქტობრივად, ფერმერები დაუყოვნებლივ მიიღებენ ანაზღაურებას მათი პროდუქციისთვის, რაც საშუალებას მისცემს გადამამუშავებელ კომპანიებს დავალიანების დაგროვების გარეშე იმუშავონ“, - განაცხადა მაკარიანმა. მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ 2,4 მილიარდი დრამი ამ წელს დაიხარჯება როგორც პილოტური პროექტის ნაწილი ყურძნისა და მებაღეობის კულტურების მოსავლის შეძენისთვის. მომავალში პროგრამა გაგრძელდება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან მიმართებაში.
26 ივლისი, 2017 წელი, arka.am

ACBA-CREDIT AGRICOLE BANK იწყებს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მესამე პროგრამას
სომხეთში დაფუძნებულმა ACBA-CREDIT AGRICOLE BANK-მა ბუნების და ბიომრავალფე-როვნების კონსერვაციის კავშირთან (NABU), გერმანიაში ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს გარემოსდაცვით ასოციაციასთან, ერთად 24 ივლისს დაიწყო მესამე უფასო პროგრამა „ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება“. პროგრამის ფარგლებში, ფერმერებს შორის კონკურსი გაიმართება. გამარჯვებულები მიიღებენ ფინანსურ დახმარებას ბანკისა და NABU-სგან ორგანული მწარმოებლების სერტიფიკატების მოსაპოვებლად და მნიშვნელოვნად გაზრდიან წარმოების შესაძლებლობებს, დამატებით ღირებულებას და ექსპორტს. 2017 და 2018 წლის პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულმა ეკონომიკურმა სუბიექტმა ბანკის ოფიციალურ ვებ-საიტზე უნდა ატვირთოს განაცხადის ფორმა https://www.acba.am/uploaded/NabuOrganic filling_form.pdf, შეავსოს და გააგზავნოს მისამართზე organic@acba.am. ვადა 1 ოქტომბერია. ეს ერთობლივი პროგრამა 2015 წელს დაიწყო, რათა ხელი შეუწყოს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას და ადგილობრივი ფერმერების წახალისებას. პროგრამის ფარგლებში 10 კომპანია უკვე სერტიფიცირებულია და წარმატებით წარმოადგენენ საზღვარგარეთ მათ პროდუქციას.
25 ივლისი, 2017 წელი, arka.am

სომხეთის სოფლის მეურნეობა 2017 წლის იანვარ-მაისში 3.5%-ით შემცირდა
სომხეთის სოფლის მეურნეობა 2017 წლის იანვრიდან 3.5%-ით შემცირდა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა იგნატ არაქელიანმა გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა. „სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ივნისის შედეგები არ არის შეჯამებული, მაგრამ მაისში გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობა 3,5%-ით შემცირდა, აქედან მემცენარეობის სეგმენტის კლება 16,8%-ია, მაგრამ მეცხოველეობა 1,3%-ით გაიზარდა“, - განაცხადა მან. მინისტრმა განაცხადა, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობის ზრდა მოხდა მსოფლიო ბანკის მიერ საძოვრების ირიგაციის და მეცხოველეობის განვითარებისთვის გამყოფილი ფინანსური რესურსების გამო. 2015 წელს მსოფლიო ბანკის CARMAC პროგრამის მეორე ეტაპი დაიწყო. ამ პროგრამის

ფარგლებში WB-მა სომხეთში 32 მლნ დოლარი სესხი გადასცა თემების სასოფლო-სამეურნეო რესურსების მართვის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. პროგრამა განკუთვნილია 2020 წლამდე და სომხეთში 111 თემი უკვე ჩართულია ამ პროცესში. მემცენარეობის სეგმენტში კლების ახსნისას არაქელიანმა განაცხადა, რომ ზამთარი ძალიან ცივი იყო და ყინვები დიდხანს გაგრძელდა. „ჩვენ ვგეგმავთ 2017 წელს სოფლის მეურნეობის ზრდას 3,6%-ით“, - განაცხადა მან. „ახლა ვერ ვიტყვით, რომ ეს მაჩვენებელი ნამდვილად მიღწევადია, თუ არა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამას“.
10 ივლისი, 2017 წელი, arka.am

ბოლო ოთხი წლის მანძილზე სომხეთში ფერმერებმა დაახლოებით 600 მილიარდი დოლარი სესხი მიიღეს
ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სომხეთში ბანკებმა ფერმერებს 600 მილიარდი დოლარზე მეტი სესხი მისცეს, სომხეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა არტურ ჯავადიანმა განაცხადა ეროვნულ ასამბლეაში 2016 წელს მთავრობის ბიუჯეტის შესრულების განხილვისას. „დაახლოებით 90 მილიარდი დრამი ფერმერებს გადაეცათ, როგორც სუბსიდირებული სესხები 8% საპროცენტო განაკვეთით“, - განაცხადა მან. ჯავადიანი ამბობს, რომ ინტერესი სესხებზე უფრო დაბალია, ვიდრე წინა პერიოდში. იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა, განაცხადა მან. იპოთეკური სესხების საერთო რაოდენობა 210 მილიარდი დრამია დღეს. ისინი ყველგან ხელმისაწვდომია მაქსიმუმ 12-პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთით. არსებობს სპეციალური პროგრამები, როგორიცაა იპოთეკური სესხები ახალგაზრდა ოჯახებისთვის და სპეციალისტებისთვის. ისინი ხელმისაწვდომია 8,5%-ად ერევანში და 6.5%-ად პროვინციაში. ჯავადიანის განცხადებით, ბანკების აგრეგირებული სამომხმარებლო სესხების პორტფელი ამჟამად 452 მილიარდ დრამს შეადგენს. ფერმერული და სამრეწველო სესხები ერთად ორჯერ აღემატება სამომხმარებლო სესხებს. ცარუკიანის ფრაქციის ხელმძღვანელის მიქაელ მელკუმიანის კითხვაზე, რა ნაბიჯები იდგმება არმავირში სეტყვის შედეგად ბოლო პერიოდში დაზარალებული ფერმერების დავალიანების ტვირთის შესამსუბუქებლად, ჯავადიანმა განაცხადა, რომ სეტყვამ ცხრა თემის დაზიანება გამოიწვია.
6 ივლისი, 2017 წელი, arka.am

სომხეთი სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო სისტემას განათავსებს
სოფლის მეურნეობის მინისტრმა იგნატ არაქელიანმა ეროვნულ ასამბლეაში 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების განხილვისას განაცხადა, რომ სომხეთი სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო სისტემას განათავსებს და დაიწყებს სეტყვისგან დამცავი ბადეების წარმოებას. მისივე თქმით, სექტემბრის თვეში საგანგებო სიტუაციების სამინისტრო გეგმავს სარაკეტო სისტემების არაგაცოტსა და ლორიში განთავსებას, რის შემდეგაც იგივე სხვა რეგიონებში გაკეთდება. გარდა ამისა, მისი თქმით, სეტყვისგან დაცვის ობიექტების განთავსება 2018 წელს დაიწყება და მთავრობა უზრუნველყოფს გრძელვადიან სესხებს. „ახლა კერძო სექტორის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებენ სხვა ქვეყნებთან, მათ შორის ევროპის ქვეყნებთან, რათა სომხეთში გაიხსნას სეტყვისგან დამცავი ბადეების მწარმოებელი ევროპული კომპანიის შვილობილი კომპანია“, - განაცხადა არაქელიანმა. მისი თქმით, თუ მოთხოვნა იქნება, მთავრობა დაეხმარება ფერმერებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სეტყვისგან დამცავი ბადეები ეფექტურია მხოლოდ ხილის ბაღების შემთხვევაში, ხოლო გოგრის შემთხვევაში სეტყვისგან დაცვის სხვა საშუალებებია უფრო ეფექტური. მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა კვლავ ითვლის სეტყვისგან მიყენებულ ზარალს და სომხეთის ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ფერმერული სესხების მოძიებაზე ძირითადი თანხის დაფარვის მიზნით. რაც შეეხება საგადასახადო გადავადებას, გადაწყვეტილების მიღება ყველა რეგიონისთვის ამინდისა და კლიმატის გათვალისწინებით მოხდება.
4 ივლისი, 2017 წელი, arka.am

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2017 წლის ივნისის #58 გამოცემა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან

სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში.

იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:

www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე. http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/